



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: 31.31211692

თარიღი: 18/06/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი

15. 06. 2021 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბიძინა იმნაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო-საბიუჯეტო ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი თამაზ იმედაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, პრესის წარმომადგენელი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 29 ივნისი, 11:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის მომართვის საფუძველზე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ნაცვლად მომხსენებლად წარდგება საფინანსო-საბიუჯეტო ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი თამაზ იმედაიშვილი. ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი თამაზ იმედაიშვილი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი თამაზ იმედაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი თამაზ იმედაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თამთა ბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

8. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა საფინანსო-საბიუჯეტო ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსმა **თამაზ იმედაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წლის აპრილის თვეში შემოსულობებმა 4483705,53 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 29,17%-ს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1166024,92 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 25,21%; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 1116024,92 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 24,40%; მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 344481,92 ლარი, რაც წლიური გეგმის 70,12%-ია. საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (გაპიტალურის ჩათვლით) 3317680,61 ლარი შეადგინა, რაც წლიურ საპროგნოზო მაჩვენებლის 30,87%-ს შეადგენს, დღგ-მ შეადგინა 2381250,8 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 31,66% შეადგინა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 47481,57 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 94,96% შეადგინა. მათ შორის-ფიზიკური პირებიდან 11179,15 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 12,42% შეადგინა, იურიდიული პირებიდან-19623,27 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 3,57% შეადგინა. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი-30802,42 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 4,81% შეადგინა. სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 740938,96 ლარი, გეგმის 41,79%. მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 20618,96 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 13,75% შეადგინა; იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსავალი 16904,16 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 169,04% შეადგინა; ადმინისტრაციული მოსაკრებლის შემოსავალი 5257,35 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 22,86% შეადგინა; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 660766,5 ლარი-წლიური პროგნოზის 44,05%, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები -34234,02 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (რეალიზაცია) მიღებულია 258843,05 ლარი.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 5574534 ლარი. აპრილის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 1649781 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 691577 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიძარტა 1544908 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიძარტა 218510 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიძარტული იქნა 1939981 ლარი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის

ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების უფროსმა **თამაზ იმედაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წლის მაისის თვეში შემოსულობებმა 5754496,61 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 37,4%-ს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1269143,8 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 27,4%; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 1219143,8 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 26,7%; მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 362781,92 ლარი, რაც წლიური გეგმის 73,8%-ია. საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 4485352,81 ლარი შეადგინა, რაც წლიურ საპროგნოზო მაჩვენებლის 41,7% -ს შეადგენს, დღგ-მ შეადგინა 3092684,65 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 35,1% შეადგინა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 52541,73 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 105,1 % შეადგინა. მათ შორის- ფიზიკური პირებიდან 37403,7 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 124,7% შეადგინა, იურიდიული პირებიდან- 15138,03 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 75,7% შეადგინა. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი- 89101,22 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 13,9% შეადგინა. სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 1153825,11 ლარი, გეგმის 65,1%. მათ შორის მოსაკრებელი ბუხებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 30533,12 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 20,4% შეადგინა; იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსავალი 16904,16 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 169,0% შეადგინა; ადმინისტრაციული მოსაკრებლის შემოსავალი 9999,35 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 43,5% შეადგინა; ჯარიმები, სანქციები და საურავების მიღებულია 1050151,06 ლარი- წლიური პროგნოზის 70,0%, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 41136,88 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (რეალიზაცია) მიღებულია 238843,05 ლარი.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 6693106 ლარი. მაისის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიწა 2075418 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიწა 875487 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიძარტა 1934508 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიძარტა 257432 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიძარტული იქნა 2125105 ლარი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების უფროსმა **თამაზ იმედაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და დამატებით გამოეყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2719106 ლარი, აქედან: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 483150 ლარი მ.შ. საკუთარი სახსრებით 24158 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია 2100000 ლარი მ.შ საკუთარი სახსრებით 105000 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად

განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - ძრწველები“, „ქართული ოცნება - ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშნია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიაძე**. მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე განცხადებით მომართა ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს (ს/კ 433642356) დირექტორმა ციცო ჩხარტიშვილმა, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განლაგებული 108, 68 კვ.მ შენობანაგებობა (ს/კ 27.06.56.086)) უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა. აღნიშნული ქონება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს, რომელიც ემსახურება 6-18 წლამდე ასაკის 24 ბენეფიციარს, ქუჩის რისკის მქონე ბავშვს და ხელს უწყობს, მათ სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ასევე, ახორციელებს მისთვის წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას. უზუფრუქტის ხელშეკრულებას მ/წლის 31 მაისს ეწერება ვადა და იურიდიული პირი ითხოვს სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელებას. ა(ა)იპ-ის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრ „იავნანა“-ს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22 -ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11 - ში მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს/კ 27.06.56.086-მიწა 747,00 კვ.მ: შენობა-ნაგებობა 108,68,კვ.მ.).

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თამთა ბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, მ/წლის 24 მაისს განცხადებით მომართა მოქალაქე თამთა ბერიძემ, რომელსაც სურვილი აქვს სარგებლობაში აიღოს ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქუჩა N2 - ში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.56.072.01.502) პირველ სართულზე მდებარე (N4 37,28კვ.მ.; N5 12,96კვ.მ; N8 13,13 კვ.მ.-სულ 63,37 კვ.მ) ფართი შემდგომში კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მოსაწყობად. აღნიშნული ფართი აგარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, მოქალაქე თამთა ბერიძეს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქუჩა N2 - ში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.56.072.01.502) პირველ სართულზე მდებარე 63,37 კვ.მ ფართი კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მოსაწყობად, რომლის სამუშაოების დაწყების შემდეგ უსასყიდლო სარგებლობის უფლების ვადის გასვლის შემდეგ მოქალაქე თამთა ბერიძის მიერ შესაძლებელი იქნება დაისვას საკითხი ფართის სასყიდლიანი იჯარით გაცემის შესახებ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თამთა ბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 7 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ბიუროს 1 წევრმა (სპარტაკ კვაჭაძე).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.112.016321) უნდა შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების: ა) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 4.

საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილება საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდის ადმინისტრირებას, რაც გულისხმობს:

ა.ა) ვებგვერდის დიზაინის მომზადებას და მასში ცვლილებების შეტანას;

ა.ბ) ვებგვერდის ფუნქციონირების ტექნიკურ გამართულობას;

ა.გ) ინფორმაციის განთავსებას; ა.დ) ვებგვერდზე შემოსული წინადადებების და წერილების სისტემატიზაციას და მერიისთვის და საკრებულოს თავმჯდომარისთვის გადაცემას;

ა.ე) ვებგვერდის პროგრამულ ფუნქციონირებას, მათ შორის. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაცვას არასანქცირებული ჩარევისაგან, ინფორმაციის შეცვლის, გაყალბების, დამახინჯების, წაშლის და დაბლოკვისაგან.

2. ბ) მერისა და მერიის თანამდებობის პირების პრესკონფერენციების ჩატარების ორგანიზებას, მათ ურთიერთობას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან, მერიის საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრესდაიჯესტის მომზადებასა და გამოქვეყნებას;

გ) მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებას, „მათ შორის, სოციალური ქსელის, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის facebook გვერდის მართვას, ინფორმაციის განთავსებას და დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას;

დ) მერიის სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და სელექციას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საზოგადოებისთვის ვებგვერდის მეშვეობით ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ვ) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მიმდინარე საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან პრესკონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრებისა და ინტერვიუების ორგანიზებას და მოწყობას;

ზ) პრესრელიზების, სტატიების მომზადებას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში განთავსებას, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებპორტალის თემატურ გაძღოლას, აგრეთვე აუდიო-, ვიდეო- და ფოტომომსახურების უზრუნველყოფას;

თ) საინფორმაციო ბიულეტენებისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მუშაობის სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გამოსაცემად მომზადებას;

ი) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადებებისა და საინფორმაციო ხასიათის სხვა მასალების მომზადებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებას. ასევე, საინფორმაციო სააგენტოებისათვის ფოტო მასალისა და ინფორმაციის მომზადებას და გაგზავნას;

კ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას“.

ბ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5.

მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტში შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას;

ბ) მუნიციპალიტეტში შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციასა და ინდექსაციას;

გ) მოქალაქეთა მისაღების მეშვეობით „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დაცვით მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტების გადაცემას შემსრულებლისათვის;

3 ე) დოკუმენტების შესრულების კონტროლს და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას;

ვ) დოკუმენტების გაგზავნას;

ზ) საქმეთა მომზადებას არქივისათვის ჩასაბარებლად;

თ) საქმეთა ნომენკლატურის შედგენას;

ი) ადმინისტრაციული წარმოების წესებისა და პროცედურების დაცვას;

კ) თვითმმართველობის მოსამსახურეთათვის საქმისწარმოების წესის გაცნობას და კონტროლს მათ დაცვაზე;

ლ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **იანხაიძემ**. მისი განმარტებით, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.112.016325) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები სამსახურის ფუნქციებია:

ა) განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ბ) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების, მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების და კულტურის სხვა დაწესებულებების, მუნიციპალური სპორტული და ახალგაზრდული დაწესებულებების კოორდინაცია;

გ) ძეგლთა დაცვის განვითარების მუნიციპალური პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

დ) წინადადებების შემუშავება მის სფეროს მიკუთვნებული დაესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ე) დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება;

ვ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული“-ს თავმჯდომარემ **სპარტაკ კვაჭაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებული ფინანსებიდან შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე ყველაზე ნაკლები თანხა გამოიყო ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში. მაჟორიტარი დეპუტატისთვის სრულიად გაუგებარია, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება ადმინისტრაციული ერთეულებისთვის ფინანსების გადანაწილება, რადგან ჯურუყვეთზე გაცილებით პატარა სოფლებს უფრო მეტი თანხა გამოეყო. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული“-ს თავმჯდომარეს თავის მხრივ დაეთანხმნენ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** და „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე **გოგი მორჩილაძე**.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ოთხი სოფელი- ნინოშვილი, ჩოჩხათი, ნიკვზიანი და ჯურუყვეთი დარჩენილია ბუნებრივი აირის გარეშე. მოსახლეობას აინტერესებს, როდის დაიწყება გაზიფიცირების პროცესი, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით გაურკვეველია. საკრებულოს

თავმჯდომარის თქმით, დაინერესდა აღნიშნული საკითხებით და როგორც მისთვის გახდა ცნობილი, მუნიციპალიტეტისთვის წყალმომარაგების სისტემის მოსაწესრიგებლად გამოყოფილ თანხაში, რომელიც შეადგენს დაახლოებით 45 მლნ. ლარს, სოფელი ჯურუყვეთიც არის გათვალისწინებული.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

